

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია**  
**АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР**  
**საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია**  
**КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ**

**საქართველოს ისტორიის წყაროები**

ეპიგრაფიკული ქვებები და ხელნაწერთა მინაწერები

VIII

# კორიდეთის საბუთები (X—XIII სს.)

გამოსაცემად მოამზადა  
ვალერი სილოგავა

წიგნში ქვეყნდება კორდეთის ხელნაწერი ბერძნული ოთხთავის (IX ს.) X—XIII სს. მინაწერი ქართული ისტორიული საბუთები, რომლებიც მოთავსებულია ხელნაწერის გვერდების აშოებზე, ან ძირითადი ტექსტისაგან თავისუფალ ფურცლებზე. 12 ისტორიულ საბუთად დაჯგუფებული ეს მინაწერები მნიშვნელოვანი წყაროა სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის.

წიგნში გამოქვეყნებული მასალა საინტერესოა და განათვალისწინებელი, როგორც სპეციალისტების ისტორიკოსებს, ფილოლოგების, სამართლისმცოდნეების, ისე ჩვენი ქვეყნის წარსული დინტერესებული მკითხველისათვის.

В книге публикуются древнегрузинские исторические документы X—XIII вв., приписанные на полях страниц, или же на свободных от основного текста листах, пергаменного греческого рукописного четверолава IX в. Эти приписки, соответственно содержанию, группируются в виде 12 документов. Они являются важным источником для изучения истории южных областей Грузии.

Издание рассчитано как на специалистов — историков, филологов, правоведов, так широкий круг читателей, интересующихся прошлым нашей страны.

#### მთავარი სარედაქციო კოლეჯია:

შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, რ. კიკნაძე (მთ. რედ. მთადგილე), ვ. მელიქიშვილი, ვ. ნადარეიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური, ე. ხოშტარია, ვ. ჯიბლაძე.

სერიის რედაქტორი **ზ. ალექსიძე**  
ტომის რედაქტორი **ნ. შოშიაშვილი**

#### ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Ш. В. Дзидзигური (главный редактор), М. Д. Абашидзе, З. Н. Алексидзе, Г. Н. Джигладзе, В. И. Дзидзигური, Р. К. Кикнадзе (зам. главного редактора), Г. А. Мелкишияни, Э. В. Хоштария.

Редактор серии **З. Н. Алексидзе**  
Редактор тома **Н. Ф. Шошиашвили**

რეცენზენტები: ისტორიის მეცნ. დოქტორი **გ. ალასანიძე**  
ისტორიის მეცნ. კანდიდატი **დ. კლდიაშვილი**

კ  $\frac{0503020906}{M 607(06)-90}$  134—50 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989

ISBN 5—520—00647—4

## წიგნის ტყვეობა

— კორიდეთი სახელია სოფლისა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აჭარაში, მდ. ჭოროხის მარცხენა შენაკადის — მურღულას ნაპირზე, ძანსულის თემში მდებარეობს. დღეს ეს ტერიტორია თურქეთის საზღვრებშია.

კორიდეთის ღმრთისმშობლის ეკლესიაში IX ს-დან XIV საუკუნემდე ინახებოდა ბერძნული ოთხთავის ხელნაწერი ეტრატზე; XIV ს-დან ეს ხელნაწერი ზემო სვანეთში, კალის თემის წმ. კვირიკეს ეკლესიაში (სვანურად — „ლაგურკა“) დასტურდება; ხოლო ამჟამად ხელნაწერი თბილისში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. ოთხთავის ხელნაწერის ფურცლების ამიებზე, ან ძირითადი (სახარების) ტექსტისაგან თავისუფალ სხვა ადგილებში, სხვადასხვა დროს მოუთავსებიათ, მიუწერიათ, სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების ტექსტები ქართულ და ბერძნულ ენებზე<sup>1</sup> როგორც ერთ, ისე მეორე ენაზე შესრულებული მინაწერების უმეტესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი ისტორიულ საბუთებს, იურიდიულ აქტებს წარმოადგენს.<sup>2</sup>

✓ საბუთების მოთავსება ხელნაწერი წიგნების, განსაკუთრებით ოთხთავის (სახარების) ხელნაწერების ფურცლების ამიებზე და მათი ასეთი სახით დაცვა და შენახვა ეკლესიებში, ძველ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული იყო. მაგ., საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული რეგიონიდან — სვანეთიდან, ისტორიულმა საბუთებმა ჩვენამდე, ბირითადად, მხოლოდ ასეთი სახით მოაღწია<sup>3</sup>. სამხრეთ საქართველოდანაც მრავალი შემთხვევაა ცნობილი ისტორიული საბუთების ხელნაწერი წიგნების ფურცლების ამიებზე მოთავსებისა<sup>4</sup>; ასევე იყო ეს გავრცელებული საქართველოს სხვა კუთხეებშიც.<sup>5</sup>

✓ ასეთი საბუთები, რომელთაც, ჩვეულებრივ, მინაწერი ისტორიული საბუთები ეწოდება, ამჟამად ათეულობით ხელნაწერზე რამდენიმე ასეულია აღრიცხული<sup>6</sup> მათში, ისევე, როგორც სხვა, დამოუკიდებელ, ცალკე წერილობითი ძეგლების სახით გაფორმებულ და მოღწეულ საბუთებში, წარსულის მრავალფეროვანი სურათი და ცხოვრების სხვადასხვა მხარეა წარმოდგენილი და ასახული; ასეა ეს კორიდეთის ოთხთავზე მიწერილი საბუთების შემთხვევაშიც.

✓ საბუთების ერთი ნაწილი კორიდეთის ეკლესიის კუთვნილი სამფლობელოების ამ ეკლესიისადმი შეწირვის<sup>7</sup> ან შეწირულის დამტკიცებისა და განახლების<sup>8</sup> აქტებია, რომლებიც გაცემულია ამ მხარის მმართველი, ან მფლობელი

<sup>1</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები. ტ. I, ისტორიულ საბუთები და სულთა მატრიანები, თბ., 1986.

<sup>2</sup> სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII—XV სს.). ტექსტები და გამოკვლევები მომზადებულია ქრისტინე შარაშიძის მიერ, თბ., 1982.

ხელისუფლების მიერ; მეორე ნაწილი — ამავე ეკლესიის გარკვეული სახის გადასახადისაგან („სატანატრო“) გათავისუფლების საბუთებია, ხოლო რამდენიმე საბუთი კერძო აქტს წარმოადგენს. ეს საბუთები X—XIII სს. განეკუთვნება. ერთი საბუთი ხელნაწერის ფურცლების ამიებზე მისი უკვე სვანეთში მოხვედრის შემდეგაა მიწერილი XIV—XV სს. და იგი წარმოადგენს კალის ჯევის ერთობისა და თანადგომის დაწერილს.

✓ კორიდეთის ოთხთავის ეს მინაწერები აქამდე რამდენჯერმე იყო გამოცემული. მათგან ყოველმხრივ სანიმუშოა აკად. ნ. მარის მიერ 1911 წელს რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში განხორციელებული პუბლიკაცია იგი სანიმუშოა და გამორჩეული არა მარტო ამ მინაწერებას სხვა გამოცემებთან შედარებით, არამედ საერთოდ ხელნაწერებზე მოთავსებული მინაწერების გამოცემის მეთოდების, პრინციპებისა და ხერხების თვალსაზრისით. ფილოლოგიური სასიათის მაღალმეცნიერულ გამოკვლევასთან ერთად, განუზომლად ზრდის ამ გამოცემის მნიშვნელობას ის, რომ მას ახლავს მინაწერების ფოტოასლები, შესრულებული მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, რაც მათი შესწავლის საშუალებას იძლევა დედნის, თვით ხელნაწერის, მოხმობის გარეშეც.

დღემდე არსებული ყველა პუბლიკაციისაგან განსხვავებით, წინამდებარე გამოცემაში ეს მინაწერები, მათი ტექსტები, დალაგდა საბუთებად და ამრიგად, 20 მინაწერი განაწილდა 12 საბუთის ტექსტად. ისინი მომზადდა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ გამოცემის ამჟამად მიღებული პრინციპების შესაბამისად. ამ პრინციპების მიხედვით მინაწერების ტექსტების გამართვამ გამოიწვია მათი ერთობ გადატვირთვა ტექნიკური ნიშნებით და ამის გამო, ეს ტექსტები ძნელად აღსაქმელი შეიქნა. ამიტომ, გამოცემის I დამატებაში წარმოვადგინეთ საბუთების ტექსტები ტექნიკური ნიშნების გარეშეც და ამის შედეგად, ამ მეტად საინტერესო მასალის გაცნობა შეუძლია არა მარტო სპეციალისტებს, არამედ საერთოდ ნებისმიერ მკითხველს.

როგორც აღინიშნა, კორიდეთის ოთხთავის ფურცლებზე ბერძნული მინაწერები და მათ შორის საისტორიო საბუთებიც მოიპოვება. ისინი X—XIII სს. თარიღდებიან. ეს მინაწერებიც, მათი სიძველისა და მნიშვნელობის გამო, არაერთხელაა გამოცემული. მათ შორის განსაკუთრებული მაღალი მეცნიერული ღირსებით გამოირჩევა ცნობილი პალეოგრაფისა და პაპიროლოგის, ელინისტ გრიგოლ წერეთლის მიერ 1937 წელს განხორციელებული გამოცემა. გრ. წერეთელმა ცალკე წიგნად გამოსცა თავისი დაკვირვებები (ტექსტოლოგური, პალეოგრაფიული, ლინგვისტური) კორიდეთის ოთხთავის ხელნაწერის შესახებ. ამ გამოცემაში დიდი ადგილს უჭირავს ოთხთავის ბერძნულ მინაწერებს — დადგენილია ყველა, ცხრა მინაწერის ტექსტი, რომელთაც ახლავს გამომცემლის სათანადო კომენტარები. წიგნი დაწერილია და გამოცემულია გერმანულ ენაზე (თუმცა, მისი სათაური ქართულ-რუსულია; გერმანული სახელწოდება მხოლოდ წიგნის კონტრტიტულზეა აღნიშნული). მას ახლავს ვრცელი რეზიუმეები რუსულ და ქართულ ენებზე, რომლებშიც, სხვა ცნობებთან ერთად, წარმოდგენილია ბერძნული მინაწერების ტექსტების თარგმანები. ისინი, ისევე, როგორც ამ ხელნაწერის ქართული მინაწერები, მჭიდროდაა დაკავშირებული კორიდეთის ეკლესიასთან. ამიტომ, ხელნაწერში მოთავსებული მთელი საისტორიო მასალის ერთად და სრულად წარმოდგენის მიზნით, საჭიროდ ჩავთვალეთ წინამდებარე წიგნის II დამატებად გამოგვეცა გრ. წერეთლის წიგ-

ნის ქართული რეზიუმე, რომელშიც, როგორც აღინიშნა, ბერძნული მინაწერი ტექსტების თარგმანებიცაა მოცემული (ამ გამოცემისათვის ისინი განსხვავებული შრიფტით გამოყვავით სხვა ტექსტისაგან და მითითების გასამარტივებლად დაენომრეთ).

კორიდეთის ოთხთავის მინაწერი ქართული ისტორიული საბუთების პუბლიკაცია, როგორც აღინიშნა, „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ პრინციპების მიხედვით მომზადდა, ე. ი. როგორც მასალა, საისტორიო წყარო, შემდგომი კვლევისათვის. ამ პრინციპების შესაბამისად, ყოველი საბუთი წარმოდგენილია დაწერილებითი არქეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობით, ხელნაწერში მისი მდებარეობის ზუსტი ტოპოგრაფიის აღნიშვნით, საბუთების წარმოდგენილი და ამ გამოცემაში მიღებული დათარიღებების დასაბუთებით, ტექსტების გამოცემათა სრული ბიბლიოგრაფიით, კრიტიკულად დადგენილი ტექსტითა და წინა გამოცემებთან ყველა კითხვასხვაობის აღნიშვნით. გამოცემას დართული აქვს სამეცნიერო-საცნობარო აპარატი — საძიებლები და საბუთების ტექსტების ფოტოასლები.

წინამდებარე წიგნი ერთი რომელიმე რეგიონის ერთ ხელნაწერზე მოთავსებული მინაწერი საბუთების ცალკე გამოცემის პირველი ცდაა. ასეთივე ცდაა იგი კორიდეთის ხელნაწერზე მოთავსებული მინაწერების საბუთებად დალაგებისა და გამოცემისა. დღის წესრიგშია სხვა ასეთი პუბლიკაციების განხორციელება მომავალში და ამით ჩვენა ისტორიოგრაფიის წყაროთა ბაზის შემდგომ გაფართოება და განმტკიცება.

## კორიდეთის ოთხთავის ხელნაწერი და მისი მინაწერები

### 1. ხელნაწერის მოკოვებისა და შესწავლის მოკლე ისტორია

✓ კორიდეთის ბერძნული ოთხთავი წარმოადგენდა კორიდეთის ღმრთის-მშობლის ეკლესიის კუთვნილებას და აქედან მიიღო თავისი სახელწოდება. ✓ ს. კორიდეთი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აჭარაში (ყოფილი ბათუმის ოლქის ართვინის მხარეში, ძანსულის თემში), მდ. კორიონის მარცხენა შენაკადის მურლულას ნაპირზე<sup>1</sup>.

✓ ოთხთავი გადაწერილია IX ს-ში (გრ. წერეთელი<sup>2</sup>, ე. ვრანსტრემი<sup>3</sup>), ბერძნული ასომთავრულით. ბერძნული დამწერლობა, რომლითაც ხელნაწერია შესრულებული საერთო ბერძნული დამწერლობისაგან განსხვავებულია და მას სპეციალისტები ბერძნული ასომთავრული დამწერლობის ქართულ დუქტუსს უწოდებენ<sup>4</sup> ცნობილია ბერძნული ოთხთავის კიდევ ერთი ხელნაწერი (IX ს-სა), შესრულებული ამავე დუქტუსით<sup>5</sup>.

✓ XI ს-ში, როგორც ამას ხელნაწერის 73v ზედა ნაწილში მოთავსებულ<sup>6</sup> მინაწერი გვაშეცნობს, ოთხთავი შეუმოსავს ვინმე პიტერიონს<sup>7</sup>:

„ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრ)თის(ა)თა და მ(ეო)ხ(ე)ბითა წ(მი)დისა ღ(მრ)თ(ის)-მშ(ო)ბ(ე)ლის(ა)თა, წ(მი)დისა იოვანე ნ(ა)თლისმც(ე)მლის(ა)თა და შეწევნი-თა წ(მი)დისა გ(იორგ)ისითა და ყ(ოველ)თა წ(მი)და(თ)ა(თ)ა. მც. ც(ო)დ(ე)ლი პიტერიონ, ღირს ვიქმენ შემოსად ამით წ(მი)და(თ)ა ოთხთავთა, ს(ა)ლ(ო)-ც(ე)ლ(ა)დ თავისა ჩემისა და მშობელთა ჩემთათ(ვ)ს — მ(ი)ქ(ა)ელის(ვ)ს და სალომეს(ვ)ს, ა(მ)ენ“<sup>7</sup>.

1 ს. კორიდეთი მარი ბროსეს სენთში ეგონა (Brusset, 1872, p. 243). მისი მდებარეობა პირველად განსაზღვრა სწორად დ. ბაქრაძე (Бахрадзе, 1887, с. 26—27). შემდეგში იგივე დადასტურეს ნ. მარმა (Marr, 1905, с. 24; Marr, 1911, с. 211) და კირიონ ეპისკოპოსმა (Кирион, 1905, с. 366).

2 წერეთელი, 1937, გვ. 1, 33, 66.

3 Гранстрем, 1959, с. 192; უფრო ადრე ე. ვრანსტრემი კორიდეთის ხელნაწერს VIII ს-ით ათარიღებდა: Гранстрем, 1950, с. 223.

4 Гранстрем, 1950, с. 223; არსებობს, აგრეთვე, ბერძნული ასომთავრულის კობტური, დასავლეთეგრობული და წინარესლავური დუქტუსები: Гранстрем, 1950, с. 223.

5 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Gr — 27; Гранстрем, 1950, с. 223.

6 ამ მინაწერს ნ. მარმა X—XI სს. ათარიღებდა (Marr, 1911, с. 224).

7 მინაწერის უკანასკნელი პუბლიკაცია: Marr, 1911, с. 223—294, таб. II.

✓ XII ს-ში ოთხთავი ხელახლა შეუკაზმავთ ერისთავთ-ერისთავის ბეშქენის ბრძანებით: ✓

„ეგ ოთხთ(ა)ავი და ერთი ს(ა)ხ(ა)რ(ე)ბ(ა)ე გ(ა)ნთესული, კორიდული, და-შლილი ვპოვე უ(ა)მთა სიგარძოთა მე, ე ( რ ი ს თ ა ვ თ )-ე( რ ი ს თ ა ვ ) მ ( ა ) ნ ბ ე შ ქ ე ნ . შევკაზმე ესე ოთხთავი: მოვკვდე ჯ(უარ)ითა და ცუარითა; ს(ა)-ხ(ა)რ(ე)ბ(ა)ე მათესი სადავად შეემოსე. აწ, ვინცა იკითხვიდეთ და იმსახურებ-ღეთ წ(მიდა)თა ამ(ა)თ წიგნთა, ლ(ო)ცვასა მომიკსენეთ ც(ო)დვილი ესე და-ულირს(ი), რომელსა ღიდად მეკმარების შე(ენ)დ(ო)ბ(ა)ე დღესა მ(ა)ს გ(ა)ნცი-თხვის(ა)სა“<sup>8</sup>.

ხელნაწერი, როგორც ჩანს, XIV ს-მდე, სანამ მას სევანეთში, ს. კალაში გადაიტანდნენ, ს. კორიდეთში ინახებოდა<sup>9</sup>.

✓ XIV ს-დან 1869 წ-მდე კორიდეთის ოთხთავი ინახებოდა ლაგურკაში ✓ წმ. კვირიკეს X—XI სს. ეკლესიაში, რომელიც მდებარეობს ს. კალაში, ზემო სევანეთში. აქვე, ლაგურკაში ინახებოდა, აგრეთვე, ისეთი ცნობილი და ძვირ-ფასი ქართული ხელნაწერები, როგორცაა ეტრატზე დაწერილი ლექციონარი X ს.-სა და ქალაღზე დაწერილი იადგარი XII ს-სა<sup>10</sup>.

1853 წ. კორიდეთის ოთხთავი ლაგურკაში აღმოაჩინა ბართოლომეიმ<sup>11</sup>, რომ-ლისგანაც ხელნაწერის არსებობა ცნობილი გახდა გელათის სიძველეთა დამტა-ცებლის<sup>12</sup> ქუთაისის გუბერნატორის გრაფ. ვლ. ვ. ლევაშოვისათვის.

✓ 1860 წელს ლაგურკაში ხელნაწერს გაეცნო დ. ბაქრაძე<sup>13</sup>. ✓

✓ 1869 წელს გრაფ ვლ. ლევაშოვმა კორიდეთის ოთხთავი 50 მან. გირაოთი ლაგურკიდან წამოიღო<sup>14</sup>. ✓

✓ 1870 წელს ხელნაწერი უკვე ხელთ ჰქონდა გრაფ პანინს პეტერბურგში, სა-დაც ხელნაწერს ა. თ. ბიჩკოვის მეშვეობით გაეცნო მ. ბროსე<sup>15</sup>. ✓

<sup>8</sup> Мapp, 1911, с. 237, таб. VIII. მინაწერის ავტორი, ერისთავთ-ერისთავი ბეშქენ, უნა-იოს ბეშქენ II (იხ. აქვე, მინაწერებში მოხსენებულ პირთა გენეალოგიური ტაბულა — გვ. 17). მინაწერში, ალბათ, აღნიშნულია ის კედლური ვერცხლის ჭვარი ჭვარცმის რელიეფური გამოსა-ხულებით, რომელიც დღესაც ამკობს ხელნაწერის უკანა ყდას. ჭვარზე მოთავსებულია XII ს-ის ასომთავრული წარწერა, ორ სტრიქონად: „აჲ ქრისტე შეუღე ჰურიათაი“ (იხ. აქვე ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 11). ჭერის წარწერა გამოსცა მ. ჯანაშიელმა (Ижанишвили, 1908, с. 234; ჯანაშიელი, 1909, გვ. 75).

<sup>9</sup> ამის მაჩვენებელია ის, რომ ხელნაწერის ამიგებუ მოთავსებული და ულოდ კორიდეთის თემში შესრულებული მინაწერი საუბოები, ქრონოლოგიურად XIII ს-ის დასაწყისამდე აღწევს. ამავე დროს, დაწერილი კალის ჯევისა ერთობის შესახებ (ინგოროევა, 1941, გვ. 70, № 71, სპანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 220, № 141) თარიღდება XIV—XV სს-ით. ნ. მარცი თელის, რომ ხელნაწერი კორიდეთიდან კალაში XIII—XIV სს. შემდეგ გადაიტანეს (М.: ирр. 1911, с. 236).

<sup>10</sup> პირველი — 1930-იანი წლებიდან ინახებოდა კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური სა-ხელმწიფო ბიბლიოთეკის რარიტეტში (ჩიკვაშვილი, 1964, № 40), ამჟამად გადაცემულია ხელნა-წერა ინსტიტუტში რესტავრაციისათვის; მეორე ხელნაწერი ამჟამად ინახება მესტიის მუზე-უმში.

<sup>11</sup> Бартоломей, 1855, с. 163—164.

<sup>12</sup> ამირანაშვილი, 1968, გვ. 3—4.

<sup>13</sup> დ. ბაქრაძე აღნიშნავდა — „В монастыре св. Квирикe и Ивлиты (Кирика и Ивли-ты), в Кальском обществе, находится рукописное греческое Евангелие, неизвeстно откуда сюда занeсeнное“ (Бақраძე, 1861, с. 37). მოგვიანებით, როგორც აღინიშნა (იხ. აქვე, შენ. 1), დ. ბაქრაძემ პირველმა განსაზღვრა სწორად ხელნაწერის წარმომავლობა.

<sup>14</sup> კარბელაშვილი, 1903, გვ. 2.

<sup>15</sup> Brosset, 1872.



V კალის მცხოვრებთა მოთხოვნით, ლევან ციოყის ძე და დე შქელიანი სი და იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის (გერასიმე ქიქოძის) ჩარევის შემდეგ, ხელნაწერი დააბრუნეს საქართველოში. გაბრიელ ეპისკოპოსმა ხელნაწერი შესანახად მოათავსა გელათის მონასტერში<sup>16</sup> ამის თაობაზე მღ. პ. კარბელაშვილი გადმოგვცემს შემდეგს: „რამდენიმე წელიწადი გასულა და სახარების დაბრუნება ფიქრდაც არავის მოსდიოდა. დაიწყეს კალელებმა ჩოჩქოლი — ჩენი სალოცავი სახარება მოკვიტანეთო. ამიტომ კეთილშობილებით სავსე ლევან დადიშქელიანს ერთი განგაში აუტეხია სატახტო ვაზეთებში. ამის გამო გაბრიელ ეპისკოპოსს მიუშარათავს არზით დიდის მთავრის მწიგნულის [იყოლოზის] ძისათვის; სახარება დაუბრუნებიათ და გაბრიელისათვის ჩაუბარებიათ“<sup>16</sup>.

1901 წ. კირიონ ეპისკოპოსმა, რომელიც მაშინ საქართველოს საეგზარქოსოს ღრობითი მმართველი იყო, ხელნაწერს მიაკვლია გელათის მონასტრის ალურიცხავი ხელნაწერების გროვაში. მან ხელნაწერი თბილისში გადაიტანა, საეკლესიო მუზეუმში (რომელიც მოთავსებული იყო სიონის ეზოში) და ხელნაწერს მიეცა № 993.

ამის შემდეგ, თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის გერმანული ენის მასწავლებლის პასტორ გ. ბერმანის მეშვეობით, ხელნაწერი სამუშაოდ გადაეგზავნათ ლაფციცხვეში პროფ. კ. რ. გრეგორის და ბერლინში პროფ. ზოდენს (სანამ ხელნაწერი გერმანიაში მოხვდებოდა, პროფ. ზოდენისათვის მისი ტექსტის პირის გადასაწერად ხელნაწერზე მოსკოვში იმუშავა ბერლინის უნივერსიტეტის დოცენტი რ. ვაგნერმა).

1904 წ. როდესაც მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ ხელნაწერის გამოცემა გადაწყვიტა და ამ მიზნით თბილისში საგანგებოდ ჩამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარე გრაფინია პრასკოვია უვაროვა, მას აქ ხელნაწერი არ დახვდა.

მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ სახელმწიფოს კუთვნილი ძეგლისადმი ასეთი მოპყრობა (მისი დაუყოთხავად ვაგზავნა საზღვარგარეთ) არასასურველად და უკანონოდ მიიჩნია და დაუყოვნებლივ მიიღო ზომები ხელნაწერის სამშობლოში დასაბრუნებლად. თბილისში ჩამოტანის შემდეგ ხელნაწერი კვლავ მოათავსეს საეკლესიო მუზეუმში.

ამის შესახებ ვაზეთ „ცნობის ფურცელში“ (1904. XI. 17, № 2673), „ახალი ამბების“ ვანყოფილებაში გამოქვეყნდა ხელმოწერილი ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ „საქართველოს საეკლესიო მუზეუმმა მიიღო ძველი ხელნაწერი ბერძნული სახარება. ეს სახარება სენათში ინახებოდა, შემდეგში გელათის მონასტერში გადაიტანეს და ბოლოს მუზეუმს გამოეგზავნა 13 ძვირფას ხელნაწერთან ერთად. სახარება, როგორც ფიქრობენ, დაწერილია მე-5—8 საუკუნეში. სახარებას ბევრად წარწერები აქვს ძველის ქართლის მხედრობით. როგორც წარწერებიდან ჩანს, ეს ხელნაწერი ერთ დროს სამცხე-საათაბაგოშიც უნდა ყოფილიყო“. ამ ცნობაში, როგორც ვხედავთ, ისტორიულ-ქრონოლოგიური ხასიათის ზოგიერთ უზუსტობებთან ერთად, მოკლედ, მაგრამ სწორად არის გადმოცემული ხელნაწერის თავგადასავლის ძირითადი ფაქტები, მისი პეტერბურგსა და საზღვარგარეთ ვაგზავნის გამოტოვებით.

თბილისში ხელნაწერის გამოცემაზე მუშაობდნენ ივ. ევსევი, ი. ტარაბრინი და ვ. შჩეპკინი. ივ. ევსევის გამოკვლევას წაემძღვარა პროფ. ზოდენის პატარა

<sup>16</sup> კარბელაშვილი, 1903, გვ. 2; შტრ. MAK, XI, c. 2.

შესავალი წერილი და კორიდეთის ოთხთავის მარკოზის თავი ფოტოტიპირად გამოიცა 1907 წ. MAK-ის XI ნაკვეთში<sup>17</sup>.

ეს პუბლიკაცია ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ტაბულებზე აისახა თორმეტიდან იმ ოთხი საბუთის ფოტოები, რომლებიც მარკოზის თავის ტექსტის შემცველი გვერდების აშვიებზეა მოთავსებული [იხ. საბ. № 2 (73v), № 3 (74r-v), № 7 (75v—76r), № 9 (76v—78r), № 11 (121v—122r)] და ფაქტიურად, ამით განხორციელდა, როგორც მათ, ისე საერთოდ ქართული ისტორიული საბუთების ერთ-ერთი პირველი ფოტოპუბლიკაცია.

საეკლესიო მუზეუმის გაუქმების შემდეგ ხელნაწერი გადაეცა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას (A-993); ხოლო 1958 წლიდან კორიდეთის ოთხთავი დატულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ბერძნული ხელნაწერების ფონდში, შიფრი Gr.-28; 249 ფ.; ზომა — 29×24 სმ.; ხელნაწერი დაზიანებულია დასაწყისში და ადგილ-ადგილ ფურცლები აკლია; ფურცლების კიდები შემოცრეცილია: ზედა ყდა არა აქვს შერჩენილი; ქვედა ყდა — ტყავადაკრული ხის ფიცარი, დამუშავებული საგულდაგულოდ. ყდის შუაში დაკრულია ვერცხლის ჯვარი (11,5×10 სმ.) ჯვარცმის გამოსახულებით. ქრისტეს თავს ზემოთ, ფირფიტაზე ჩაქდებულია წარწერა:

სა : ქი : შიღფ  
ნი : სიძიხცნი

ა(ეს)ვ ქ(რისტ)ე — მეუფე პურიათაი.

ქვედა ყდის შიდა პირზე მოთავსებულია მეღნიტო შესრულებული მინაწერი სამ სტრიქონად, ბერძნული, კობტური, სომხური და ქართული ასოებით<sup>18</sup>. მისი ტექსტი, როგორც ჯერ კიდევ მ. ბროსემ აღნიშნა<sup>19</sup>, წარმოადგენს ფსალმუნის ნაწყვეტს — 39, 8—9. მინაწერის წაკითხვები დააზუსტა ნ. მარმა. ქართული მხედრული ტრანსკრიპციით ის შემდეგი სახით იკითხება:

„თავსა წიგნთასა წერილ არის (!) ჩემთვის. ყოფად ნებისა შენისა“<sup>20</sup>.

კორიდეთის ოთხთავის გარშემო შექმნილი ლიტერატურიდან<sup>21</sup> აღსანიშნავია რამდენიმე გამოკვლევა:

1. ივ. ევსევიისა და ზოდენის შესავალი წერილები, დართული მარკოზის თავის ზემოთ აღნიშნული ფოტოტიპირი გამოცემისადმი. ამ წერი-

<sup>17</sup> დამატებით ხელნაწერის თავგადასავლისათვის იხ. MAK, XI, c. III, 2.

<sup>18</sup> Mapp, 1911, c. 238. рис. 6 (c. 239).

<sup>19</sup> Brosset, 1872, pp. 281—282.

<sup>20</sup> Mapp, 1911, c. 238.

<sup>21</sup> Бартоломей, 1855, c. 163—164; Бакрадзе, 1861, c. 57; Brosset, 1872, pp. 269—282; Кирион, 1904; Кирион, 1905, c. 266—273; MAK, XI, 1907; ჯანაშიელი, 1908, გვ. 4; Джанашивили, 1908, № 993; ჯანაშიელი, 1909, გვ. 74—87; Mapp, 1911, c. 211—240, таб. I—VIII, рис. I—6; ИКОИМАО, III, 1913, отд. II (Протоколы...) c. 38, № 6; Beerman und Gregori, 1913; ყუბანიშვილი, 1924, გვ. 83—86; წერეთელი, 1937; Гранстрем, 1950; Гранстрем, 1959, c. 191—194. აქ არ ვასახელებ ი. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის და ა. შანიძის იმ ნაშრომებს, რომლებშიც ზოგიერთი ქართული მინაწერი განხილულია როგორც საეკლესიო მასალა. თითოეული მათგანი იხ. შესაბამისი საბუთების ლეგენდების ბიბლიოგრაფიულ ნაწილში.

ლების მიზანს წარმოადგენს ოთხთავის ტექსტის გამოკვლევა. პროფ. ზოდენის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები გრაფინია პ. უეაროვას მიერ რეზიუმირებულია შემდეგი სახით:

«Проф. Зоден ссылаясь на свой капитальный труд «Тексты Нового Завета в древнейшем достижимом для нас виде» (Die Schriften des Neuen Testaments in ihrer ältesten erreichbaren Textgestalt», 1902, 1906), доказывает: что Коринтское Евангелие (050 по обозначению Зодена) по своему тексту ближайшим образом родственно с двумя списками: один из них — Codex Catabrigiensis (05 по обозначению проф. Зодена), другой — текст, изданный Hoskier'ом (133 по обозначению проф. Зодена), при чем текст Коринтского Евангелия составляет связующее звено между 05 и 133: что все три рукописи — представители своеобразного типа, которым всего вернее передается текст, установленный в Кесарии Панфилом и Евсевием около 300 года; что этот Кесарийский текст, в свою очередь, всего ближе к первоначальному евангельскому тексту»<sup>22</sup>.

2. ოთხთავის ქართული მინაწერების პუბლიკაცია განხორციელებული ნ. მარის მიერ<sup>23</sup>. მასში გამოქვეყნებულია ოთხთავის ყველა, 24 ქართული მინაწერი. მათი ერთი ნაწილი (20 მინაწერი) წარმოადგენს საბუთებს (ზოგი საბუთის ტექსტს, ხოლო ზოგიც მის დამტკიცებას, განახლებას ან ხელრთვის). ისინი ნაწილდებიან 12 საბუთად<sup>24</sup>.

3. მეტად მნიშვნელოვანია აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებები ხელნაწერის მინაწერი ქართული საბუთების ტექსტების შესახებ, რომლებიც წარმოდგენილია მის ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“ (1929); კერძოდ, მან ეს საბუთები გამოიყენა ძველი საქართველოს სისხლის სამართლის ისეთი საკითხის შესწავლისას, როგორცაა „საბუთების მოპარვა-მოსპობა“, ხოლო სამოქალაქო სამართლის საკითხებიდან, როგორცაა „ნასყიდობის კანონიერების წესები“, ან საბუთის „სამოსამშლელო“ საჯალურის გადახდა და სხვ. (იხ. მისი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 230—232, 312, 320).

4. გრ. წერეთლის მიერ განხორციელებული პუბლიკაცია ოთხთავის ბერძნული მინაწერებისა<sup>25</sup>. აქ, გამოქვეყნებულია და კომენტირებული ოთხთავის ყველა, 9 ბერძნული მინაწერი.

გრ. წერეთელი აღნიშნავს, აგრეთვე, მ. ბროსესელი გამოკვლევისა<sup>26</sup> და 1913 წ. ბერლინში გამოცემული კორინთის ოთხთავის ტექსტისა და მისადმი დართული გამოკვლევის<sup>27</sup> მნიშვნელობათა შესახებაც<sup>28</sup>.

<sup>22</sup> МАК, XI, 1907, с. XVI.

<sup>23</sup> Мapp, 1911, с. 211—240; таб. I—VIII, рис. 1—6.

<sup>24</sup> დანარჩენი ოთხი მინაწერის ტექსტს ვაქეყენებთ წინამდებარე შესავალში.

<sup>25</sup> წერეთელი, 1937, 73 გვ., 3 ტაბ. როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოკვლევის ძირითადი ტექსტი დაწერილია გერმანულ ენაზე; ახლავს ვრცელი რეზიუმეები რუსულ და ქართულ ენებზე, ხელნაწერის ბერძნული მინაწერების ტექსტების თარგმანებით.

<sup>26</sup> ქართული მინაწერების პირველი პუბლიკაცია: Brosset, 1872.

<sup>27</sup> Beerman und Gregori, 1913.

<sup>28</sup> წერეთელი, 1937, გვ. 3.

## 2. ხელნაწერის მინაწერი საბუთების დათარიღება

✓ კორიდეთის ოთხთავის აშეებზე მოთავსებული ქართული საბუთებუ პირველად დაათარია მ. ჯანაშვილმა. № 1 საბუთის უკანასკნელ სტრიქონში მან შეცდომით წაიკითხა „ქსა მა“ (ე. „ქრონიკონსა მა“) და საბუთის თარიღად 821 წელი აღნიშნა<sup>29</sup> V. მარმა გაასწორა მ. ჯანაშვილის შეცდომამ და საბუთის უკანასკნელი სტრიქონი წაიკითხა, როგორც „დღოსი-ყანელმან“<sup>30</sup>. ნ. მარს, გარდა ერთისა, კორიდეთის ოთხთავის აშეებზე მოთავსებული საბუთები კონკრეტულად არ დაუთარიღებია, მაგრამ, ზოგადად ეს საბუთები და მათ შორის, როგორც ჩანს № 1 საბუთიც XIII ს-ში შედგენილად მიაჩნდა<sup>31</sup>.

✓ ექ. თაყაიშვილმა შენიშვნაში, რომელიც მან დაურთო კორიდეთის ოთხთავის მინაწერების ჯანაშვილისეულ მცირე პუბლიკაციას, ვარაუდის სახით („თუ ჩვენ არ ვცდებით“-ო, აღნიშნავს ის) გვიხიარა № 1 საბუთის დათარიღება 821 წლით<sup>32</sup>. ხოლო, დანარჩენი საბუთების თარიღის შესახებ ექ. თაყაიშვილმა აღნიშნა — ხელის მიხედვით უძველესი მხედრული მინაწერები უფრო მეტადმეტე და მეტორმეტე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდნენო<sup>33</sup>.

ს. ყაუხჩიშვილი № 1 საბუთს, მის გავრძელებაზე მოთავსებული ბერძნული მინაწერის თარიღისა და ამ უკანასკნელის (ბერძნული მინაწერის) შესრულების ტექნიკურ მხარეზე დაყრდნობით<sup>34</sup>, X ს-ით, ან XI ს-ის დასაწყისით ათარიღებს<sup>35</sup>.

დანარჩენი საბუთების კონკრეტული თარიღები წარმოადგინა მხოლოდ მ. ჯანაშვილმა. ამათგან, ერთი საბუთის (№ 8) მ. ჯანაშვილის მიერ X ს-ით დათარიღების<sup>36</sup> აშკარა უზუსტობა აღნიშნა ჯერ კიდევ ნ. მარმა<sup>37</sup>. მან საბუთში მოხსენიებული „დავით მეფე“ მიიჩნია, ან რუსულანის ძე დავით IV ნარინად (იმერეთში მეფობის წლები — 1259—1293). ან ლაშას ძე დავით ულულ (1247—1276), ხოლო „ბერძენთა მეფე გიორგი“ — ტრაპიზონის კეისარ გიორგი I კომნენოსად (1266—1280). ამის მიხედვით, ნ. მარმა, № 8 საბუთის თარიღი განსაზღვრა 1266—1269, ან 1266—1280 წლებით<sup>38</sup>. რადგან ს-

<sup>29</sup> მ. ჯანაშვილი, 1908, № 34, გვ. 4; Джанашивили, 1908, с. 236, 246; ჯანაშვილი, 1909, გვ. 77, 86.

<sup>30</sup> Mapp, 1911, с. 214—215, 237.

<sup>31</sup> Mapp, 1911, с. 216.

<sup>32</sup> ძს, წ. 1, განყ. III, გვ. 88.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 88.

<sup>34</sup> ბერძნულ მინაწერს ათარიღებენ X ს-ით, ან XI ს-ის დასაწყისით. მისი შესრულების დროს ქართული მინაწერი ხელნაწერის გვერდზე უკვე არსებობდა; ბერძნული მინაწერის დასაწყისი უშუალოდ მისდევს ქართული საბუთის ტექსტის ბოლო სტრიქონის უკანასკნელ სიტყვას (იხ. ტაბ. 1). ბერძნული მინაწერის ტექსტი (ქართული, რუსული და გერმანული თარგმანებით), მისი დათარიღება და მასში დასახელებული გურგენ კომენის ბაგრატი III-ის თანამედროვე მოღვაწის გურგენ კლარჯთან გაიგივების შესაძლებლობის შესახებ: წერეთელი, 1937, გვ. 10, 60—63, 72.

<sup>35</sup> ყაუხჩიშვილი, 1924, გვ. 84—86; გეორგია, VII, 1967, გვ. 11—14, 10, შენ.

<sup>36</sup> Джанашивили, 1908, с. 235, 238; ჯანაშვილი, 1909, გვ. 76, 78.

<sup>37</sup> Mapp, 1911, с. 216.

<sup>38</sup> Mapp, 1911, с. 217. ამას მხარს უჭერს, როგორც მინაწერის პალეოგრაფიული ნიშნები (XIII ს. II ნახ.), ისე ტექსტის მონაცემები (ეკროლ, ამირსპასალარი, ამირახორი, რომლებიც უფრო XII ს-ის დასასრულისა და XIII ს-ისათვის დამახასიათებელი სამოხელეო ინსტიტუტებია და ამაზე აღრე არ გვხვდებიან).

ბუთი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შედგა, მასში დავით რუსუ-  
დანის ძე უნდა იხსენიებოდეს და საბუთიც 1266—1280 წწ. დათარიღ-  
დება. სხვა საბუთების თარიღები მ. ჯანაშვილს განსაზღვრული აქვს მათში მოხ-  
სენიებული პირების მის მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულის მიხედვით.  
ამ ტაბულას მან დაურთო ქრონოლოგიური ცნობები. ეს ცნობები წარმოადგე-  
ნენ ჯანაშვილისათვის დასაყრდენს საბუთების დათარიღებისას. საბუთებში  
დასახელებული პირების გენეალოგიური ტაბულა მ. ჯანაშვილს წარმოდგენილი  
აქვს შემდეგი სახით:

„იოვანე ჰიასძე (X ს.)

ბეშქენ I ერისთავთ-ერისთავი († დაახ. 1045. — ქართ. ცხ. I, 224; H. G. I, 318)  
მურვან I († დაახ. 1070 წ. ქართ. ცხ. — 222) მუულღე მისი აჯათა

ბეშქენ II = ბეჟა († 1118 წ.)

მურვან II (XII საუკ.) მუულღე მისი ელი

ყოთლ არსლანი, რომელიც თამარ მეფეს წინადადებას აძლევდა შემოეღო საქართველოში  
პარლამენტისებური მმართველობა“<sup>39</sup>.

კორიდეთის ოთხთავის აშეებზე მოთავსებული საბუთების დათარიღებისა-  
თვის უნდა მივმართოთ მათ პალეოგრაფიულ ნიშნებს. 1266—1280 წწ. დათა-  
რიღებული № 8 საბუთის, აგრეთვე, მხედრული დამწერლობით შესრულებული  
ხუცელესი ქართული ისტორიული დოკუმენტების პალეოგრაფიული ნიშნების  
შედარება კორიდეთის სხვა მინაწერი საბუთების პალეოგრაფიულ ნიშნებთან  
საშუალებას გვაძლევს, ეს უკანასკნელი საბუთები, ზოგადად, XII—XIII ს-ით  
დავათარილოთ. მეორე მხრივ, ექვს საბუთში (№№ 2—4, 6, 7, 9) წარმოდგენი-  
ლი პირების (როგორც ჩანს, ერთი ფეოდალური სახლის წევრების) სწორი  
გენეალოგიის დადგენა საშუალებას მოგვცემდა ამ საბუთების თარიღი უფრო  
კონკრეტულად განვეცხადებინათ. 1266—1280 წწ. დათარიღებულ № 8 საბუთში  
მოხსენიებული ჟან ჩიას ძე და მისი შვილი ბეშქენი, როგორც ჩანს, №№ 2—4,  
6, 7, 9 საბუთებში მოხსენიებული ფეოდალური სახლის წევრები არ უნდა იყე-  
ნენ, მიუხედავად იმისა, რომ ჟან ჩიას ძის ვაჟის სახელი ბეშქენი, ამ საგვარეუ-  
ლოშიც ჩანს გავრცელებული. ამავე დროს, №№ 2—4, 6, 7, 9 საბუთში წარ-  
მოდგენილი ფეოდალური სახლის გენეალოგიის დადგენისას, უნდა დავუშვათ,  
რომ ორ, ან რამდენიმე საბუთში დასახელებული პირების (უმთავრესად საბუ-  
თების გამცემების) თანადროულ მოღვაწეობას ადგილი არ ჰქონდა.

XII—XIII ს-ში შედგენილი ამ საბუთებიდან, სხვებთან შედარებით მეტი  
არქაულობით გამოირჩევა № 3 საბუთის („დაწერილი ბეშქენის კორიდელ  
ხუცესთადმი“) პალეოგრაფიული ნიშნები. ეს არქაულობა (პირველ რიგში,  
1260—1280 წწ. დათარიღებული საბუთის პალეოგრაფიულ ნიშნებთან შედა-  
რებით) მდგომარეობს შემდეგში: ა. ხანის გადმოცემა არა ნუსხური (სურ. 1),  
ან მხედრული (სურ. 2), არამედ გარდამავალი (სურ. 3) მოხაზულობით;

<sup>39</sup> ძს, წ. I, განყ. III, გვ. 76; შდრ. Джанашивили, 1908, с. 235. თუ როგორ ნაწილდება  
აქ მოხსენიებული პირები კორიდეთის ოთხთავის მინაწერ შესაბამის საბუთებში და ამის მიხედ-  
ვით, თუ როგორ ათარიღებს მ. ჯანაშვილი ამ საბუთებს იხ. თითოეული საბუთის ლეგენდის  
სათანადო ადგილას.

ბ. ც-ანის გადმოცემა (სურ. 4) მოხაზულობით, მიუხედავად იმისა, მას სიტყვაში ა-ნი მოსდევს თუ არა (XII ს-ის მეორე ნახევრის დასაწყისიდან თუ ც-ანს ა-ნი მოსდევს ის გადმოცემულია არა სურ. 4, არამედ სურ. 5 მოხაზულობით); გ. ო-ნის გადმოცემა, როგორც ამოტრიალებული — სურ. 6, ისე განივი ხაზის სახით — სურ. 7 (ეს მომენტიც უფრო XII ს-ის I ნახ. მანიშნებელია). ყველა ეს ნიშანი, მინაწერის დამწერლობისათვის დამახასიათებელ სხვა ნიშნებთან ერთად, საშუალებას გვაძლევს № 3 საბუთის თარიღი XII ს-ის I ნახ. განესაზღვროთ.

« ზ ლ ე ე ა —

სურ. 1 სურ. 2 სურ. 3 სურ. 4 სურ. 5 სურ. 6 სურ. 7

№ 3 საბუთში იხსენიებიან მისი გამცემი ბეშქენი, ბეშქენის „ძისალი“ („ძის ცოლი“) ხუაშაქი, ბეშქენის შვილიშვილი „ძისწული“) ბექა, საბუთის დამამტკიცებელი ბეშქენ II, რომელიც ბეშქენ I-ს პაპობით მოიხსენიებს. საბუთში მოხსენიებულ ბექასა და ბეშქენ II-ეს მ. ჯანაშვილი ერთსა და იმავე პირად მიიჩნევს<sup>40</sup>. მაგრამ, როგორც ჯერ კიდევ ექ. თაყაი-შვილმა აღნიშნა, „ბექა და ბეშქენ ერთი და იგივე პირი არ არის, არამედ ძმებია“<sup>41</sup>. ამავე დროს მ. ჯანაშვილმა ისინი შეცდომით, მურვან I-სა და აბათას შვილებად მიიჩნია<sup>42</sup>. ამრიგად, № 3 საბუთში წარმოდგენილი პირების გენეალოგია შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

ბეშქენ I (№ 3 საბუთის გამცემი; XII ს. I ნახ.)

7 + ხუაშაქი (XII ს-ის შუა ხანები)

ბექა ბეშქენ II (№ 3 საბუთის დამამტკიცებელი, XII ს. II ნახ.)


როგორც აღინიშნა, № 3 საბუთი ქრონოლოგიურად წინ უძღვის სხვა საბუთებს. ამიტომ, საჭიროა სხვა საბუთებში დაიძებნოს რომელიმე პირი ბეშქენ I-ის მემკვიდრეებიდან. ასეთი პირია ბექა, რომელიც ამტკიცებს № 4 საბუთს. ხოლო ამ საბუთში დასახელებულია შემდეგი პირები: ბექა — დამამტკიცებელი საბუთისა, მისი მამა — საბუთის გამცემი მურვანი, ე. ი.

<sup>40</sup> ჯანაშვილი, 1909, გვ. 76.

<sup>41</sup> ძს, წ. 1, განყ. III, გვ. 88.

<sup>42</sup> იქვე. უნდა აღინიშნოს, რომ მურვან I-ის მეუღლის სახელი „აბათა“ კორიღეთის ოთხთავის მინაწერების ყველა პუბლიკაციაში, მ. ბროსედან დაწყებული და ნ. მარის ჩათვლით, აგრეთვე, ამ მინაწერების შესახებ გამოკვლევებში, შეცდომით წაკითხულია, როგორც „აგათა“ („Agatha“, „Arata“). მინაწერებში ეს სახელი ორჯერ გვხვდება; თუ გარდაამავალი მხედრულით შესრულებულ № 2 საბუთის ტექსტში თითქოს მხოლოდ „აბათა“ წერია (ნ. მარის აქ „აგათას“ კითხულობდა სიტყვის დასაწყისში ა-ს აღდგენით), მხედრული დამწერლობით შესრულებულ № 9 საბუთის ტექსტში ამ სახელის, როგორც „აბათას“ წაკითხვა, არავითარ ევსს არ იწვევს (მდრ. აქვე, ტბ. 3 და 20).

ბუაშაქის მეუღლე და ბეშქენ I-ის ძე, და საბუთის ძეორე დამამტკიცებელი მურვანი (II), რომელიც ამტკიცებს თავის პაპის („პაპის ჩემისა“) — მურვანი I-ის მიერ გაცემულ საბუთს. ამ მონაცემებით გენეალოგიური ტაბულა შემდეგი სახით შეივსება:




ასეთია ამ ფეოდალური საგვარეულოს გენეალოგიური ტაბულის ძირითადი ბირთვი. დანარჩენ სამ საბუთში (№№ 6, 7, 9) მოქმედ პირებად (საბუთის გამცემად, ან დამამტკიცებლად) გვევლინებიან ბეშქენ II და მისი ძე მურვან II, მურვან II-ის მეუღლე ელი<sup>43</sup> და კიდევ ერთი პირი — ყუთლუ-არსლანი, ძე შურვან II-ისა, დამამტკიცებელი ბეშქენ II-ის მიერ გაცემული № 6 საბუთისა.

რაც შეეხება მურვანისა და აბათას მიერ გაცემულ (№ 2) საბუთს, მას დედნის სახით არ მოუღწევია; ის კორიდეთის ოთხთავიდან ამოკვეთეს. ამ საბუთის განსაახლებლად მურვან II (XII ს-ის დასასრ.) საგანგებო საბუთიც შეადგინა — № 9. მურვანისა და აბათას მიერ გაცემულმა № 9 საბუთმა, როგორც ეს ნ. მარმა აღნიშნა, მოაღწია დედნის შინაარსის არც თუ ზუსტად გადმოცემული პირის სახით<sup>44</sup>, რომელიც, როგორც ჩანს, შეადგინეს მურვან II-ის დროს (XII ს. დასასრ., ამას მინაწერის პალეოგრაფიული ნიშნებიც ეთანხმება). მურვანი და აბათა უთუოდ ბეშქენ I-ის შშობლებია, რადგან მათ მიერ გაცემულ (და კორიდელ ხუცესთა მიერ დაკარგულ) საბუთს ანახლებს უკვე მურვან II. მურვან I-ის მეუღლეს ხუაშაქი ერქვა, ამიტომ მურვანისათვის, რომელსაც მეუღლედ ჰყავს აბათა და რომელიც XII ს-ის I ნახ. მოღვაწეა, წარმოდგენილ გენეალოგიურ ტაბულაში ადგილი რჩება მხოლოდ ბეშქენ I-ის წინ.

ამრიგად, კორიდეთის ოთხთავის აშიებზე მოთავსებულ №№ 2—4, 6, 7, 9 საბუთებში მოხსენიებული პირების გენეალოგიური ტაბულა წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

<sup>43</sup> მურვან II-ის მიერ გაცემულ № 9 საბუთს ამტკიცებს ვინმე ელი („ქ. ამა, პატრონისა ბრძანებისა, მე, ელცა მამტკიცებელი ვარ“). მ. ჭანაშვილმა ელი მიიჩნია მურვანის მეუღლედ, მიუხედავად იმისა, რომ დამტკიცების ტექსტში არ არის აღნიშნული ელის დამოკიდებულების შესახებ მურვანისადმი; ეს მოსაზრება სწორი უნდა იყოს. ჩვეულებრივ, მსგავსი ფორმულით, რომელშიც არ არის აღნიშნული დამოკიდებულება საბუთის გამცემისადმი, ამტკიცებენ, ან ხელს ურთავენ მეუღლის მიერ გაცემულ საბუთებს მათი თანამეცხვარეები (იხ. კახა თორელის თანამეცხვარის, ხათუთას ხელრთვა კახას მიერ 1260 წ. რკონის მონასტრისადმი გაცემულ დაწერილზე; ხათუთას დამტკიცება ძაგან აბულეთის ძის მიერ 1259 წ. შიომღვიმისადმი გაცემულ დაწერილზე (ქსდ, II, № 23, გვ. 65, [2]; № 24, გვ. 72; ქისკ, I, № 33, გვ. 153, [2]; № 31, გვ. 141, [5]).

<sup>44</sup> Marr, 1911, с. 225, прим. 1, таб. II, прим.



გენეალოგიურ ტაბულაზე წარმოდგენილი ფეოდალური სახლის საბუთები ნაწილდება შემდეგ ჯგუფებად: თიხჩეს ყოფილი მამულის — თიხჩეთის, ანუ თიხჩიეური პარტახტის კორიდეთის ღმრთისმშობლისადმი შეწირულების დაწერილები (№№ 2, 9), კორიდელ ხუცესთადმი დაწერილები სატანუტრო დრახის „გაშუების“ შესახებ (№№ 3, 7), კორიდელთადმი „ახალი ბეგრის“ დადების საბუთი (№ 6) და ერთი კერძო საბუთი მიქაელ ხუცესისადმი მისივე კერძო მამულის „მკუიდრად მიცემის“ შესახებ (№ 4).

ქრონოლოგიურად ყველა ამ საბუთს წინ უსწრებს თიხჩეს დაწერილი დოკუმენტი და გიორგისადმი, რომლითაც იგი ირემეთს თავისი „კერძის ნახევარს“ გადასცემს მათ (№ 10). როგორც ჩანს, თიხჩეს გარდაცვალების შემდეგ პარტახტად დარჩენილი მისი კერძი — თიხჩიეური პარტახტი, ანუ თიხჩეთი ჯერ მურვან I-მა და აბათამ შესწირეს კორიდეთის ღმრთისმშობელს (№ 2), ხოლო შემდეგ ეს შეწირულება, რომლის შესახებ საბუთი ოთხთავიდან ამოკვეთილი აღმოჩნდა, განაახლეს და ახალი დაწერილით დაამტკიცეს მურვან III-მ და ელიმ (№ 9). საინტერესოა, რომ საბუთის ამოკვეთის, ანუ დაკარგვისა და ახლის შედგენისათვის მურვან III კორიდელ ხუცესებს გამოართვა 50 ბოტანატი და აბათ „ფურცლისა ამოკუეთაი გაუშუა“. როგორც ჩანს, გადასახადის ზომა — დაკარგული საბუთის განახლებისა და ახლის შედგენისათვის, ანუ „საველის-ფლო“, როგორც მას ამავე საბუთში ეწოდება, მტკიცედ განსაზღვრული არ ყოფილა და მისი ოდენობა კელისუფლის სურვილზე ჩანს დამოკიდებული: მურვანს კორიდელ ხუცესებისათვის თავდაპირველად 60 ბოტანატი დაუწესებია, მაგრამ „ათი გაგიშუი“-ო აღნიშნავს ის და „ორმოცდაათისა ავიღე ჩემ-თლის, ჩემისა ცოლისათვის და საველისუფლოდ ყოვლად-ფერად“-ო. ამავე საბუთში მურვან III განუახლებს კორიდელ ხუცესებს მურვან I-ის მიერ თიხჩეთს ნიგოზის შეწირულებას („თიხჩეთს ექუსისა კაბიწისა ნიგოზისაი შეწირა“).

პაშასადაქე. თუ თიხჩეს მიერ გაცემული საბუთი (№ 10) წინ უსწრებს მურვან I-ისა და აბათას მიერ გაცემულ საბუთს (№ 2), იგი XI საუკუნით დათარიღდება. ამ თარიღს საბუთის პალეოგრაფიული ნიშნებიც ეთანხმება. ეს საბუთი ერთადერთია კორიდეთის ოთხთავის მინაწერ საბუთებში, რომელიც ნუსხა-ხუცურიტაა შესრულებული. ზოგიერთი ასოს (ბ, გ) გამხდრულება, ცალკეული ნუსხური ასოების გადაბმით გადმოცემა (გ და რ, შ და ა, ზ და ა, წ და ე...) მას XI ს-ის წერილობით ძეგლებს მიაკუთვნებს.



თიხეს დაწერილში (№ 10) არის ერთი ბუნდოვანი ადგილი — ხელნაწერის 19v-ზე, მე-3 სტრიქონის ბოლოს წერია „ტზრი“, სადაც ტ და ზ გადაბმითაა გადმოცემული. თუ რას უნდა ნიშნავდეს ასოთა ეს კომპლექსი გაუგებარია (მ. ბროსე აქ კითხულობდა: „ტტრი“-ს, მ. ჯანაშვილი — „ტაზირი“-ს, ხოლო ნ. მარი — „ტზრი“-ის და რუსულ თარგმანში შენიშნავდა: „описка вл. т-т-р танутер?“). თუ დაეუშვებთ, რომ აქ დამწერს „ტტრი“-ს დაწერა სურდა და ადგილი აქვს E და E ასოების აღრევას ნუსხურით დაწერილ ტექსტში, მაშინ შეიძლება დაქარაგმებით დაწერილი ეს სიტყვა მართლაც წავიკითხოთ, როგორც „ტ(ანუ)ტ(ე)რი“. მივიღებთ, რომ თიხეს დაწერილის ერთ-ერთი მოწმე — თავგოვის-ძე პეტრე, ან იოვანე ღურჩელი, არის ტანუტერი. ამ მოსაზრებას ის უშლის ხელს, რომ საბუთში უკვე მანამდე დასახელებული ერთი ტანუტერი: „რდიწერა... ტანუტრობასა კორიდელისასა“, თუმცა, მისი სახელი აღნიშნული არ არის; მაგრამ არც ის ჩანს შეუძლებელი, რომ ამ ტანუტერის სახელი „კორიდელი“ ყოფილიყო (ნ. მარი თვლის, რომ „კორიდელი“ საკუთარი სახელი არ არის და ტექსტის ამ ადგილს ასე თარგმნის — „в танутерство коридиа“). ასე რომ საბუთის ამ ბუნდოვანი ადგილის გამართვა და სწორი გაგება, დღეს არსებული მასალებით არ მოხერხდა.

კორიდეთის ოთხთავის მინაწერ საბუთებში დასახელებული პირებიდან. თუ არ ჩავთვლით № 8 საბუთში დასახელებულ „დავით მეფეთა-მეფეს“ და „გიორგი ბერძენთა მეფეს“, სხვა წყაროებით ცნობილია მხოლოდ მურვანისა და აბათას შემეკიდრეები. ამათგანაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას მხოლოდ ბეშქენისა და მურვანის შესახებ, რომელთა მეტ-ნაკლები უეჭველობით გაიგივება შესაძლებელია აგარის მონასტრის (ურავლის ხეობაში) სატრაპეზოს წარწერაში დასახელებულ ერისთავთ-ერისთავებთან ბეშქენთან და მურვანთან<sup>45</sup>. ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს წარწერა თარიღდება XI—XII სს. მიჯნით, მაშინ მასში დასახელებული პირების გაიგივება შესაძლებელი ჩანს უფრო ბეშქენ I-თან და მურვან II-თან.

არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს იმან, რომ კორიდეთის ოთხთავის მინაწერ საბუთებში დასახელებული და გენეალოგიურ ტაბულაზე წარმოდგენილი ფეოდალური სახლის წევრები მოხსენიებულია მხოლოდ სახელებით, ყოველგვარი ტიტულის გარეშე, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც ხელნაწერის 73v-ზე მოთავსებულ ერთ მინაწერში (არა საბუთში, არამედ ცალკე, დამოუკიდებლად შესრულებულში) ერთ-ერთი ბეშქენი იწოდება ერისთავთ-ერისთავად:

„ქ. შ. ე(რისთავ)თ-ე(რისთავ)ო ბეშქენ, ღ(მრ)თ(ი)ს სწორო, მიწამან შ(ე)ნმან ი(ო)ვ(ა)ნე დავწე[რე]“<sup>46</sup>.

ეს ბეშქენი შეიძლება იყოს ბეშქენ I, მამა მურვან II-ისა; მისი დაწერილი კორიდელ ხუცესთაღმი (№ 3) მოთავსებულია ხელნაწერის 74r-ზე, ე. წ. იმ მინაწერის მომდევნო გვერდზე (73v), რომელზედაც იოვანეს მინაწერია ბეშქენ ერისთავთ-ერისთავის მოხსენიებით. ეს ფაქტი — ასე ახლოს და გვერდიგვერდ მოთავსება ამ მინაწერებისა, მართალია, თავისთავად გადაწყვეტი არ შეიძ-

<sup>45</sup> სილოგავა, 1983, გვ. 275—276.

<sup>46</sup> უკანასკნელი პუბლიკაცია: Март, 1911, с. 225, № IV, табл. II.

ეს მინაწერი პალეოგრაფიულადაც ძალზე საინტერესოა — იგი დღესდღეობით ცნობილი უძველესი წერილობითი ძეგლია, რომელშიც დასტურდება მ (ოპი) მხედრული დაწერილობით.

ლება იყოს, რადგან სხვადასხვა დროის მინაწერი საბუთების ხელნაწერთა აშიგებზე გვერდიგვერდ მოთავსება თითქმის ჩვეულებრივია, მაგრამ არც მთლად შემთხვევითი ჩანს. უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერთა (და არა მარტო პალეოგრაფიული ნიშნებით) ბეშქენ I-ის დაწერილი (№ 3) და იოვანეს მინაწერი იდენტურია (იხ. სურ. 2 და 4—5). ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბეშქენ I-ის საბუთი, რომელსაც ბოლო აკლია (ხელნაწერის გვერდის კიდის შემოცრევის გამო), იოვანეს დაწერილი უნდა იყოს, რის შესახებაც მას ცალკე მინაწერი გაუკეთებია.

მაშასადამე, თუ ამ ვარაუდს დაეუფებთ, მაშინ ამ ფეოდალურ სახლში ოთხთავზე მინაწერი საბუთების მიხედვით, ერთადერთი ვისაც ერისთავთ-ერისთავი ეწოდება ბეშქენ I-ია. თუ მას აგარის მონასტრის სატრაპეზოს წარწერის ბეშქენ ერისთავთ-ერისთავთან გავაიგივებთ, რადგან ეს წარწერა ქრონოლოგიურად სხვებზე მეტად ბეშქენ I-თან დგას ახლოს, მაშინ აგარის წარწერაში დასახელებული ერისთავთერისთავი მურვანი, უფროს-უმცროსობის წესით მოხსენიების გათვალისწინებით (წარწერაში ჯერ ბეშქენი და შემდეგ მურვანია დასახელებული), წარმოდგენილი გენეალოგიური ტაბულის მურვან II იქნება.

ამ მონაცემების მიხედვითაც ბეშქენ I-ის მშობლების — მურვან I-ისა და აბათას მიერ გაცემული საბუთი (№ 2) XI—XII სს. მიჯნით დათარიღდება. თანახმად ამისა განისაზღვრება სხვა საბუთების თარიღებიც, გენეალოგიური ტაბულის მიხედვით თითოეული თაობის მოღვაწეობისათვის დადგენილი დაახლოებითი ქრონოლოგიური ჩარჩოების შესაბამისად<sup>47</sup>.

### 3. ქართული და ბერძნული მინაწერი საბუთების ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი

✓ კორიდეთის ოთხთავზეჯ როგორც აღინიშნა, მოთავსებულია 22 ქართული და 9 ბერძნული მინაწერი. ქართული მინაწერების ერთი ნაწილი დაჭკუფდა 12 ისტორიულ საბუთად (ამათგან ერთი სვანური საბუთია და მას აქ განსახილველ საკითხებთან საერთო არაფერი აქვს), ხოლო ბერძნულ მინაწერებში საბუთია 4, დანარჩენი — სხვადასხვა ხასიათის ტექსტებია. ✓

✓ აღსანიშნავია, რომ, როგორც ქართული, ისე განსაკუთრებით ბერძნული საბუთები სიძველით გამოირჩევიან და ისინი, ძირითადად, X—XI—XII საუ-

<sup>47</sup> კორიდეთის ოთხთავის ქართული მინაწერების დათარიღების შესახებ თავისი თვალსაზრისი წარმოადგინა ვ. ინგოროყვაძე. სამწუხაროდ, ეს თვალსაზრისი ბუნდოვანია და წინააღმდეგობების შემცველი; იგი წერს, რომ „მე-11 საუკუნის ბოლო პერიოდში (1073 წლის ახლო დროიდან) და მთელი მე-12 საუკუნე... ყველა წარწერები ქართულად არის შესრულებული და მიუთითებს 15 მინაწერს (№№ III, V, VI, IX, X, XI, XII, XIII, XIV, XV, XVI, XVII, XVIII, XIX, XX და XXI — ნ. მარის ნუმერაციით). ამირახორ ეან ჩიას ძის (№ I) მინაწერს ათარიღებს XIII ს-ის II ნახ.-ით, ხოლო ერისთავთ-ერისთავ ბეშქენ III-ისა (№ XXII) და იმავე ამირახორ ეან ჩიას ძის (№ IV) მინაწერებს — „მე-13 საუკუნის ბოლოდან მე-16 საუკუნემდე“ დროით. გარდა ამისა, მინაწერებში წარმოდგენილ ფეოდალურ სახლში იგი გამოყოფს სამ მურვანს, სამ ბეშქენს (ამათგან, ბეშქენ II-ს ორმაგი სახელით ბექა-ბეშქენ) და ყუთლ-არსლანს. როგორც ჩანს, ამავე სახლს მიაკუთვნებს იგი ეან ჩიას ძესაც (ინგოროყვა, 1954, გვ. 275—276, შენ. 2, სქ-ში). სამწუხაროდ, არგუმენტები ამ მოსაზრებათა დასამტკიცებლად ავტორს არ წარმოდგენია და ჩვენც მხოლოდ მათი აღნიშვნით უნდა დავკმაყოფილდეთ.

კუნეებით თარიღდებიან. ამთგან, ერთი ბერძნული საბუთი (№ 5) დათარიღებულია არის პიზანტიის იმპერატორის ნიკიფორე II ფოკას (963—969) მეფობის ერთ-ერთი. სახელდობრ — 965 წლით. **У**

ყოველივე ზემოაღნიშნული. აგრეთვე, მათთვის დამახასიათებელი სხვა თავსებულებანი, როგორც ერთი, ისე მეორე ჯგუფის საბუთებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მათი მნიშვნელობის წარმოჩენა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული საკითხების კვლევისათვის სამომავლო ამოცანად რჩება, მაგრამ ამ საბუთების ურთიერთმიმართების ზოგეერთი საკითხის შესახებ. ვფიქრობთ, აქაც შეიძლება აღინიშნოს.

**У** ბერძნულ მინაწერ საბუთებში ყველაზე ადრეულია ზემოდასახელებული 965 წლის განკვეთლება წინამძღვრის მთავარმამა მიხეილის ქალისა მისი მზითვის შესახებ (№ 5). კრ. წერეთლის ვარაუდით, ეს განკვეთლება შეიძლება ამ ქალის ანდერქმსად წარმოადგენდეს<sup>48</sup> ამ საბუთის მიხედვით, წინამძღვრის მთავარმამა მიხეილის ქალი, რომლის სახელი ტექსტში აღნიშნული არ არის, კორიდეთის ეკლესიას სწირავს ერთი დღის საყანეს; გარდა ამისა, იგი ამტკიცებს მისი მამის შეწირულებას მონასტრისადმი — რომელიც „ადგილს“, რომელიც საბუთის ტექსტში სახელდებით აღნიშნული არ არის, მაგრამ რომელიც საკითხით დაინტერესებული პირებისათვის — ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და მონასტრის მესვეურებისათვის, ისედაც ცნობილი იქნებოდა და, გარდა ამისა, მონასტერს ამის შესახებ ცალკე საბუთიც ექნებოდა. ჩვენთვის არსებიათა, რომ მიხეილის ქალის მიერ ეკლესიისათვის შეწირული საყანე მასი მზითვეი ყოფილა. იგი უშეიღოდ(?) დარჩენილა და ამ მიზეზით თავისი მზითვეი ეკლესიისათვის შეუწირავს.

**У** ოთხთვე ზემოაღნიშნულ საბუთებში მოიპოვება ერთი საბუთი, რომელიც, ასევე, ქალის მიერ დატოვებული მზითვის აღრიცხვას წარმოადგენს (№ 5). იგი თარიღდება XII ს-ით. მასში აღნიშნულია, რომ მიქაელ ხუცესს გარდაცვლია ცოლი, ტეი ხუცის ასული და მას დარჩენია მზითვეი: „ერთი ჯარი და ერთი ფური, ერთი დრაჰკანი... ერთი თხაი“. **У**

**У** ორივე ეს საბუთი ქრონოლოგიურად იმდენად დაშორებულია ერთმანეთს, რომ მათ შორის საერთო კონკრეტული რამე არ არსებობს, მაგრამ საინტერესოა ხუცესების გარდაცვლილი ცოლების მზითვის აღრიცხვა, ან მათ შესახებ განგებულებას შედგენა და მათი მოთავსება ეკლესიის კუთვნილი სახარების ფურცლებზე<sup>49</sup> როგორც ჩანს, მიქაელ ხუცის ცოლიც უშეიღოდ გარდაცვლილა, მსგავსად მიქაელ ხუცის ასულისა. ნიშანდობლივია, რომ, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საბუთების ტექსტებში მათი სახელები აღნიშნული არ არის. როგორც ჩანს, უშეიღოდ გარდაცვლილი ხუცის ცოლის, ან მისი ასულის მზითვეი ეკლესიის საკუთრებად რჩებოდა. ეს იმდენად მიღებული და დადგენილი წესი ყოფილა, რომ ასეთ შემთხვევაში საბუთის გამკემის, ანუ მზითვეის ყოფილი მფლობელის სახელის აღნიშვნა არც იყო აუცილებელი, მაშინ, როდესაც ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ეს გამოიცილებულია — თუ საბუთში მისი გამკემის, ე. ი. ერთ-ერთი კონტრაგენტის სახელი არ არის აღნიშნული, ცხადია, ასეთ საბუთს არავითარი იურიდიული ძალა არ ექნებოდა.

ამდენად, კორიდეთის ოთხთავის მინაწერი ერთი X ს-ის (ბერძნული) ჯა ერთი XII ს-ის (ქართული) საბუთების მიხედვით, თითქოს გამოიკვეთა ტრ-

<sup>48</sup> წერეთელი, 1937, გვ. 8, 52, 69.

დიცია უშუალოდ გარდაცვლილი, ან დაარჩენილი ხუცესის ცოლის, ან ასულის შვიტვის, ე. ი. მათი კუთვნილი პირადი ქონების იმ ეკლესიასთვის გადაცემის შესახებ, სადაც მათი მამა, ან მეუღლე ხუცესები მოღვაწეობდნენ.

კორიდეთის ოთხთავის ქართულ და ბერძნულ მინაწერი საბუთების ურთიერთმიმართება იმ მხრივაც არის საინტერესო. რომ ზოგიერთ მათგანში ერთ ღაიგივე პირები იხსენიებიან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბერძნული საბუთი — დაწერილი გრიგოლ მღვდლისა იოანე და კირიკე სეპარტოპულოებისაგან სამონასტრო მეტოქის შეძენის შესახებ (№ 2). რომელსაც გრ. წერეთელი XI ს-ით ათარიღებს<sup>49</sup>. საბუთში გარიგების მოწვევებად დასახელებულია: ხუცესი იოზი, მარკოზი, ხუცეაი მიხილი, კირიკე. მატესე. ტექსტის ბოლოს იხსენიება, აგრეთვე, ვინმე კურცეკი, რომელიც. თითქოს. „აბუთი“ დამწერი შეიძლება იყოს.

ვიფიკობთ, ბერძნული ტექსტის „მატესე“ („Ματσηή“), ერთ-ერთი ქართული საბუთის (№ 11) „მათე შელი“ უნდა იყოს. ქართული საბუთთან ტექსტში ეს „მატესე“ სახელის აღნიშვნითაც არის წარმოდგენილ და მას

<sup>49</sup> საბუთის ბერძნულ დედანში გრიგოლ მღვდლის სახელის შემდეგ გრ. წერეთელი კოხტულობს სიტყვა *მალტ* ( )-, რომელიც მღვდლის გვარის თუ წესსახელის ნაწილი უნდა იყოს. ეს სიტყვა გრ. წერეთელს ბლომდე არა აქვს ვახსნილი — საბუთის ტექსტის ქართულ და რუსულ თარგმანში იგი საერთოდ გამოტოვებულია. ხოლო გერმანულ ტექსტში ტრანსკრიპციითაა გადმოცემული [„Gregorius Ooltn ( )“]; წერეთელი. 1937, გვ. 6, 46, 68. თითქოს *მალტ*(ი) შეიძლება ქართული „ოლთელის“ ან „ოლთისელის“ შესატყვისი იყოს. ასეთი გაფორმების ქართული გვარ-სახელები კორიდეთის ოთხთავის მინაწერ საბუთებში სხვაც დასტურდება: სტუდენტ დოლისყანელი (№ 1), იოვანე დურჩელი (№ 10), ივანე მათეშელი (№ 11), იანესა კორიდელი (№ 11), ან მხოლოდ კორიდელი (ბერძნ. № 6). ოლთისი, როგორც ცნობილია, ისტორიული ტაოს ერთ-ერთი ძველი ტოპონიმი. ცნობილია ოლთისის მიხის ეკლესიიდან ჩამოტანილი 958—966 წწ. წარწერა დავით მაგისტროსისა, რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ ხელმოწერის სახელმწიფო მუზეუმში ინახება (იხ. ქართული წარწერების კორპუსი, I, გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 259—261, № 144; გამომცემელი შენიშვნას: „სსსრ-ის დავთარში აღნიშნულია, რომ ძველი ოლთისიდანაა. რომელიც ოლთისიდანაა ის ჩამოტანილი და როდის, არ ჩანს (შესაძლოა იცო კვეთი ქართლის ოლთისი, შესაძლოა — ისტორიული ტაოს ოლთისი)“. ძველი ჩამოტანილი ისტორიული ტაოს ოლთისიდან XX ს-ის დასაწყისში, 1907 წლამდე, როგორც ამას უეჭველ-პოვს ე. თაყაიშვილის ცნობა (იხ. მისი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 48), რომელმაც პირველმა გამოსცა ეს წარწერა. ხოლო ეს გამოცემა „ქართული წარწერების კორპუსში“ აღნიშნული არ არის. კორიდეთის ლეონტიძის ცნობის ეკლესიის მღვდელი გრიგოლიც, როგორც ჩანს, ამ ადგილიდან იყო და მისი გვარი ოლთისელი ყოფილა. რომელიც ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელიდან, მსგავსად ზემოდასახელებული სხვა პირების გვარებისა. არ არის გამორიცხული, რომ გრიგოლის გვარი ქართულად ეწერდა. როგორც „ოლთის-არა“ და გაფორმებული იყო „არ“ სუფიქსით, როგორც ეს დამახასიათებელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვარების ერთი ნაწილისათვის ოპიზარ. ოთარი, ხახულარი და სხვ. (A. Шанидзе, Два чано-мигирельских суффикса в грузинском и армянском языках, ЗВОНАРО, т. XXIII, вып. III—IV, Пгр., 1916, с. 365—369). მაგალითად, სპეცილისტებს შორის ფართოდ არის ცნობილი გიორგი ოლთისარი, ათონის ქართველთა მონასტრის ერთ-ერთი წინამძღვარი XI ს-ის 70-იანი წლებისა, რომელიც მონასტრის წინამძღვარი გახდა გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების შემდეგ (იხ. ე. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 332; ე. კეკელიძე, მას. გიორგი ოლთისელს“ უწოდებს, თუმცა, წყაროებში იგი „გიორგი ოლთისარად“ მოიხსენიება: ათონის ივერის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი აღაპებით, თბ., 1901, გვ. 332, აღაპი № 62; გიორგი მცირე. ცხორება გიორგი მთაწმიდლისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, თბ., 1967, გვ. 200; 18—19).

ივანე მათეშელი ჰქვია. საბუთი წარმოადგენს ივანე მათეშელის დაწერილს სუცეს მიქაელ კვირიკეს ძისადმი შუაღელეთის ნახევრის — ივანწმიდასა თანა მიწის, ყოდვის შესახებ. ეს საბუთი XII ს-ით თარიღდება. როგორც ჩანს, არამარტო „მატესე“ და „მათეშელია“ ორივე საბუთისათვის საერთო, არამედ მათში დასახელებული მიქაელ ხუცესი და კუირიკე II კირიკეც ერთიდაიგივე პირებია. ვფიქრობთ, ბერძნული საბუთის (№ 2) XI ს-ით, ხოლო ქართული საბუთისა (№ 11) XII ს-ით დათარიღება წარმოდგენილ გაიგივებას ხელს არ უშლის, რადგან შეიძლება პირველი XI ს-ის დასასრულს და მეორე XII ს-ის დასაწყისსაც განეკუთვნებოდეს.

ამავე დროს, № 2 ბერძნულ საბუთში დასახელებული ერთ-ერთი მოწმე მარკო სე შეიძლება იყოს № 4 ქართული საბუთის მარკოზი, რომლის შესახებ ამ უკანასკნელში აღნიშნულია, რომ იგი არის მიქაელ ხუცესის, ოღონდ ივანეს ძის და არა № 11 ქართულ საბუთში დასახელებული კუირიკეს ძის, „მამის მამაი“: ე. ი. ამის მიხედვით აშკარაა, რომ ამ საბუთში დასახელებული პირები სულ ცოტა, ორი თაობის წარმომადგენლები არიან. № 4 ქართული საბუთი XII ს-ის შუა ხანებით დათარიღდა შესავალში დადგენილი გენეალოგიური ტაბულის მიხედვით (იხ. აქვე, გვ. 17). მასში დასახელებული პირების წინა თაობა XI ს-ით დათარიღებულ № 2 ბერძნულ საბუთში დასტურდება. მასმასადამე. ბერძნული საბუთი ამ შემთხვევაში ქართული საბუთის დათარიღების საკონტროლოდაც გამოდგა და მისი დათარიღების სისწორე დაადასტურა.

კიდევ ერთი პირი — ტანუტერი (მამასახლისი) კორიდელი უნდა იხსენებოდეს ქართულ და ბერძნულ საბუთებში. „კორიდელი“ ამ შემთხვევაში საკუთარი სახელია, წარმომდგარი ტოპონიმ „კორიდეთიდან“ და არა გვარი, წარმომავლობის აღნიშვნელი, თუმცა, ასეთი შემთხვევაც დასტურდება № 11 საბუთში, სადაც დაწერილის ერთ-ერთ მოწმედ დასახელებულია ვინმე იანესა კორიდელი. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არ არის გამოირიყხელი № 11 საბუთის იანესა და კორიდელი სხვადასხვა პირი იყოს და არა ერთი პირის სახელი და გვარი, ან ზედწოდება. მით უმეტეს, რომ ამ საბუთის სხვა დანარჩენი ყველა მოწმე სახელებით არის აღნიშნული — ვაშანაი, თადეუვი, ნალირბერი, პეტრე. ამის მიხედვით, როგორც ჩანს, ამავე საბუთში დასახელებული იანესა და კორიდელი სხვადასხვა პირებია. მაშინ მივიღოთ, რომ ეს კორიდელი მოწმედ იხსენიება სამ საბუთში — ორ ქართულში (№ 10 და № 11) და ერთ ბერძნულში (№ 6). აღსანიშნავია, რომ სამივე საბუთი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, XII ს-ით დათარიღდა, რაც კიდევ ერთი მოწმობაა ქართული საბუთების აქ მიღებული დათარიღების მეთოდოლოგიური სისწორისა.

როგორც ვხედავთ, კორიდეთის ოთხთავის მინაწერ ბერძნულ და ქართულ ისტორიულ საბუთებში ერთიდაიგივე პირებიც იხსენიებიან და ამ ენებზე შედგენილი საბუთები თანადროულებიც არიან. რით არის ეს გამოწვეული? რა ახსნა შეიძლება მოენახოს ამ ფაქტებს?

ვფიქრობთ. ამის მიზეზია ადგილობრივი ეთნიკური სიტუაცია, ერთი მხრივ. და ქვეყნის ამ კუთხის პოლიტიკური ორიენტაცია, მეორე მხრივ. გარდა იმისა. რომ ქვეყნის ეს მხარე X—XI სს-ში ბიზანტიის ძლიერ პოლიტიკურ გავლენას განიცდის. მოსახლეობაც აქ შერეულია — ადგილობრივი, ძირძველი ქართული მოსახლეობის გვერდით, მასთან ერთად აქ ცხოვრობს ბერძნულ-ბიზანტიური

